” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსის ფარგლებში”

## ZEWSGES პროექტის ეკოსისტემის შესახებ საგანამანთლებლო პროგრამა: ტრენინგ–კურსი

ეკოსისტემის შესახებ სგანმანთლებლო პროგრამის ინგლისური, თურქული და უკრაინული ვერსიები შედგება ტრენინგ მოდულის, ვიდეო ფილმებისა და თამაშებისგან, რომელიც პროექტის პარტნიორ ქვეყნებში (თურქეთში,ბულგარეთში, უკრაინასა და საქართველოში) 2019 წლის სექტემებრში გახდება ხელმისაწვდომი. ძალიან მალე კი პროგრამის ქართული და



ბულგარულ ენოვანი ვერსიებიც მომზადდება.

ვიზუალური კონტენტით გაჯერებული ვიდეოების მიზანია, ეკოსისტემასა და პარტნიორ ქვეყნებში მდებარე სპეციფიკურ რეგიონებზე სტუდენტების ცნობიერების გაზრდა. ვიზუალიზაციები, რომლებიც კონკრეტულ თემატიკას ეხება შედგება ცხრილების, გრაფიკებისა და სურათებისგან.

კამპანიის მთავარი მიზანია, ჩვენი სტუდენტების/ახალგაზრდების ეკოსისტემის შესახებ ინფორმირება და მათი პასუხსიმგებლობის ამაღლება გარემოს მდგრადი შენარჩუნებისთვის.

ამ მიმართულებით, მოხდა კამპანიის სახელწოდებით,, შვიდი კარიბჭე სოციალური ცვლილებისთივს” ინიცირება. აღნიშნული მოდელი შემდეგ მიმართულებებს გულისხმობს:

კარიბჭე1 - ცოდნის კარიბჭე : დაეხმარებით თქვენ სტუდენტებს პრობლების აღქმაში

კარიბჭე 2 - სურვილის კარიბჭე: შეუქმნით სტუდენტებს შესაძლებლობას, სხვაგვარი მომავლის წარმოსახვისთვის .

კარიბჭე 3 - უნარების შეძენის კარიბჭე: შესთავაზებთ სტუდენტებს ფიქრის შესაძლებლობებს, იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შექმნან მათ მიერ წარმოდგენილი მომავალი რეალურად.

კარიბჭე4 - რწმენის / ნდობის კარიბჭე: დაარწმუნებთ თქვენს სტუდენტებს, რომ ირწმუნონ მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯების, მათთვის საოცნებო მომავლის შესაქმნელად.

**კარიბჭე 5 -მოვემზადოთ ცვლილებისთვის/კარიბჭე გარე დახმარების მიღება:** სტუდენტებს აუხსნით, რომ სრულიად შესაძლებელია, მათ სჭირდებოდეთ დახმარება საკუთარი ქმედებების განსახორციელებლად, მიაწვდით ინოფრმაციას გარე დახმარების მნიშვნელობაზე.

**კარიბჭე 6 - კარიბჭე სტიმულირებისთვის:** გექნებათ შესაძლებლობა შეახსენოთ სტუდენტებს, რომ მათ შეუძლიათ სხვადასხვა ქმდების საშუალებით გააქტიურება და რომ პროგრესის შენარჩუნება მნიშვნელოვანია.

**კარიბჭე 7 - კარიბჭე გაძლიერებისთვის :** გექნებათ შესაძლებლობა, მოუწოდოთ სტუდენტებს პოზიტიური გაძლიერებისკენ, ეს მიდგომა ეფექტიანი სოციალური ცვლილების შესახებ ცნობიერებას ამაღლებს.

სტუდენტებს, რომელთაც გაიარეს EEP ეკოსისტემის ცნობიერების პროგრამა შეუძლიათ:

- ეკოსისტემის კონცეფციის გაგება
- მათ რეგიონში/აუზში არსებული ეკოსისტემის გაგება
- მათ რეგიონში/აუზში არსებული ეკოსისტემის საფრთხეების შესახებ ინფორმაციის ფლობა
- ეკოსისტემის მიმართ ადამიანის ქცევის შედეგად მომდინარე საფრთხეების ცნობა
- ადამიანის მიერ ინდივიდუალური ძალისხმევის შედეგად ეკოსისტემის საფრთხეების შემცირების შესაძლებლობების შესახებ გათვიცნობირება
  თითოეული ინდივიდის როლის გააზრება ეკოსისტემის საფრთხეების აღმოფხვრის მიმართულებით.
- მოხალისეობრივი ორგანიზაციების და სამიზნე სამუშაო ჯგუფების დაფუძნება
- მათ რეგიონში/აუზში არსებული ინიციატივების მდგრადობის განსაზღვრა
- რესურსების გამოყენებისა და ბუნების მარაგს შორის კავშირის მნიშვნელობისა და მდგრადობის გაგება.

ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე პასუხების გასაცემად , მომზადებულია 19 ვიდეო ფილმი:

1. რა არის ეკოსისტემა?
2. რა არის ეკოსისტემის კომპონენტები
3. როგორ ხდება ბუნებრივი ბალანსის შენარჩუნება ეკოსისტემაში?
4. რა არის აუზი?
5. სად არის გურიის აუზი?
6. როგორ მოხდა გურიის აუზის წარმოშობა?
7. რა ზოგადი კლიმატური მახასიათებლები გააჩნია გურიის აუზს?
8. რა არის ??ს ეკოსისტემის კომპონენტები?
9. რა საფრთხეების წინაშე დგას ??? ეკოსისტემა?
10. რა აქტივობები აბინძურებს გურიის აუზსს?

11. ვაბინძურებ თუ არა გარემოს?
12. ვინ აბინძურებს გურიის აუზსს?
13. რა უნდა გაკეთდეს გურიის ეკოსისტემის დასაცავად?
14. რა უნდა მოვიმოქმედო ეკოსისტემის დასაცავად?
15. რა ვიცი ეკოსისტემის შესახებ? რა არის ჩემი უფლებები და პასუხისმგებლობები?
16. არსებობენ თუ არა გურიის აუზის ეკოსისტემის დაცვის კუთიხით, აქტიური მოხალისე ორგანიზაციები ?
17. რა სახის ეროვნული და საერთაშორისო ქმედებები ხორციელდება გურიის აუზის ეკოსისტემის დასაცავად?
18. რა კეთდება ამჟამად გურიის აუზის დასაცავად?
19. რა უნდა გავაკეთო გურიის აუზის ეკოსისტემის გრძელვადიანი გაჯანსაღებისთვის?

ერთობლივი ოპერაციული პროგრამა შავი ზღვის აუზი 2014-2020
მასალის რედაქტირება: ნამიკ ქემალის უნივერსიტეტი
გამოქვეყნების თარიღი: 31ივლისი, 2019 წ.
ერთობლივი ოპერაციული პროგრამა ,,შავი ზღვის აუზი 2014-2020" თანადაფინანსებულია ევროკავშირს მიერ ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის ფარგლებში და ასევე მისი მონაწილე ქვეყნების მიერ: სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა. ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური დახმარების ფარგლებში. პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდდამხოლოდ ნამიქ ქემალის უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას და არ გამოხატავს ევროკავშირის შეხედულებებს.